



სსიპ განათლების ხარისხის  
განვითარების ეროვნული  
ცენტრის დირექტორი

01/08/2024



MES 5 24 0000933838

## ბრძანება

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის № 177 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა“, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის №144681 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლის წესის“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 აპრილის №478305, ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 აპრილის №478604, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 აპრილის №478754, ცენტრის საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 აპრილის №479115 და ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის 2024 წლის 30 ივლისის №924094 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით,

## ვბრძანებ:

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სტაჟიორთა შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) ცენტრის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:
  - ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში - 1 ადგილზე (ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით);
  - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - 3 ადგილზე;
  - იურიდიულ სამსახურში - 2 ადგილზე;

1.4. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - 2 ადგილზე;

1.5. საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურში - 2 ადგილზე;

1.6. შიდა აუდიტის სამსახურში - 1 ადგილზე.

2. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატთა განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge) - 2024 წლის 02 აგვისტოდან 2024 წლის 08 აგვისტოს ჩათვლით;

3. პირი სტაჟიორად მიიღება სრული განაკვეთით, მაგრამ მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია დაუდგინდეს სტაჟირების სპეციალური გრაფიკი;

4. სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1. იცის სახელმწიფო ენა; სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე საფეხურზე ან დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების პირველი ან მე-2 საფეხური 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში;

4.2. შერჩევის მნიშვნელოვან კრიტერიუმად განისაზღვროს სტაჟირების მსურველი პირის აკადემიური მოსწრება (GPA 2.8-4.0 ან/და ქულათა სისტემა – 71-100 ქულის მაჩვენებელი) – გასაუბრებისას თანაბარი კანდიდატების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოთ უმაღლესი მოსწრების კანდიდატებს.

5. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში (ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით) სტაჟირების მსურველი, ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

5.1. სწავლობდეს ან დასრულებული ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების / მენეჯმენტის / სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

5.2. საოფისე პროგრამების ცოდნა: Microsoft Office Word; Microsoft Office PowerPoint - კარგად, Microsoft Office Excel- დამაკმაყოფილებლად;

დ) ინგლისურ ენის ცოდნა B2 დონეზე (წერა და მეტყველება);

5.3. საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

6. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სტაჟირების მსურველი, ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

6.1. სწავლობდეს ან დასრულებული ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამა განათლების ადმინისტრირების/განათლების მეცნიერებები/ მიმართულებით;

6.2. საოფისე პროგრამების - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel - კარგად ცოდნა;

6.3. ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (წერა და მეტყველება);

6.4. საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს:

ა) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

7. იურიდიულ სამსახურში სტაჟირების მსურველი, ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

7.1. სწავლობდეს ან დასრულებული ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამა სამართლის მიმართულებით;

7.2. საოფისე პროგრამები - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel - კარგად ცოდნა;

7.3. სასურველია ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (წერა და მეტყველება);

7.4. საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ბ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;

გ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;

დ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/5 ბრძანება;

ე) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანება;

ვ) „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 98/5 ბრძანება;

ზ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/5 ბრძანება.

8. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სტაჟირების მსურველი, ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

8.1. სწავლობდეს ან დასრულებული ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამა განათლების/ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

8.2. საოფისე პროგრამები - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel - კარგად ცოდნა;

8.3. იგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (წერა და მეტყველება);

8.4. საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს:

ა) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;

ბ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;

გ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/5 ბრძანება.

9. საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურში სტაჟირების მსურველი, ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

9.1. სწავლობდეს ან დასრულებული ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამა განათლების ადმინისტრირების/განათლების მეცნიერებების/ სამართლის/ სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით;

9.2. საოფისე პროგრამები - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel - კარგად ცოდნა;

9.3. ინგლისური და რუსული ენების ცოდნა B2 დონეზე (წერა და მეტყველება);

9.4. საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/5 ბრძანება.

10. შიდა აუდიტის სამსახურში სტაჟირების მსურველი, ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

10.1. სწავლობდეს ან დასრულებული ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების/ სამართლის/ეკონომიკის ან ფინანსების მიმართულებით;

10.2. საოფისე პროგრამები - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel - კარგად ცოდნა;

10.3. სასურველია ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (წერა და მეტყველება);

10.4. საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

11. სტაჟირის ფუნქციებად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/მენტორის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება, რომელიც მიმართული იქნება სტაჟირის პროფესიულ ზრდის, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

12. სტაჟირების გავლის მსურველს უნდა გააჩნდეს:

ა) გამართული ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

ბ) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;

გ) მოტივაცია (რატომ არის დაინტერესებული ვაკანსიით);

დ) გუნდური მუშაობის უნარი.

13. სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 4 თვის ვადით;

14. სტაჟირების თვიურ ანაზღაურებად განისაზღვროს 598 (ხუთას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

15. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:

ა) განცხადების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

16. კანდიდატს - არ ევალება ცნობის ან ქულათა მაჩვენებლის გამოთხოვა და ატვირთვა, აუცილებელია კანდიდატმა მიუთითოს საგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესია და მისი GPA ან ქულათა მაჩვენებელი, აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვას აპლიკანტის თანხმობის საფუძველზე, განახორციელებს ცენტრი, აპლიკანტის მიერ მითითებული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. მხოლოდ უცხოენოვანი დიპლომის შემთხვევაში, მოუწევს კანდიდატს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლის ატვირთვა;

17. კანდიდატმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

17.1. ინფორმაცია სწავლების საფეხურის შესახებ და აკადემიური მოსწრების შესახებ;

17.2. სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რატომ სურს კანდიდატს ცენტრში სტაჟირების გავლა;

17.3. პირადობის მოწმობის ასლი.

18. პირი სტაჟირად არ მიიღება, თუ: ა) იგი ნასამართლევა განზრახი დანაშაულისთვის; ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა; გ) მან სტაჟირად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს; დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ე) თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ იმავე საჯარო დაწესებულებაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს;

19. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge) - მეშვეობით, კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა;

20. საკონკურსო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს ქულათა სისტემით შეფასების საფუძველზე, ცენტრის დირექტორს სტაჟიორად დასანიშნად წარედგინოს საუკეთესო შედეგების მქონე ის კანდიდატი/კანდიდატები, რომელთა საბოლოო ქულა იქნება ქულათა შესაძლო მაქსიმალური ოდენობის 50%-ზე მეტი;

21. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - [www.eqe.ge](http://www.eqe.ge) - ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა;

22. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა;

23. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
დირექტორი  
წულამე ალექსანდრე

